



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010110962196518

**01 / აგვისტო / 2018 წ.
709/ს**

2018 წლის 31 ივლისის N209 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01; N02; N03 - სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსი - სოჭის ჯიშის II; III და IV ხარისხის 36.80 მ³) შედეგების გამოცხადების შესახებ

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის #50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის II; III და IV ხარისხის (სოჭი 36.80 მ³) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N209) გამოცხადების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-ს უფროსის მოადგილის 2018 წლის 24 ივლისის N682/ს ბრძანებისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 31 ივლისის N14935/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მიმდინარე წლის 31 ივლისს ჩატარებული N209 ელექტრონული აუქციონის (ლოტი N01; N02 და N03 - II; III და IV ხარისხის სოჭის ჯიშის მერქნული რესურსი - 36.80 მ³) შედეგებით, (ლოტი N01; N02 და N03) გამოცხადდა ჩაშლილად, რადგან აუქციონში მონაწილეობა არავის მიუღია:

1. აუქციონი N209, ლოტი N01 - 18.16 მ³ (II სჭ).
2. აუქციონი N209, ლოტი N02 - 6.12 მ³ (III სჭ).
3. აუქციონი N209, ლოტი N03 - 12.52 მ³ (IV სჭ).

2. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს 50-ე მუხლის, პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ელექტრონული აუქციონი ითვლება ჩაშლილად, თუ ელექტრონულ აუქციონზე ვერ განხორციელდა ქონების რეალიზაცია.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

